

სწავლების საფეხური	უმაღლესი პროფესიული
სპეციალობა	აგრონომია
პროგრამის ტიპი	აკადემიური
პროგრამის ხელმძღვანელი	სოფლის მეურნეობის დოქტორი ლეილა ებრალიძე
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	სოფლის მეურნეობის დიპლომირებული სპეციალისტი სოფლის მეურნეობის აგროტექნიკოსი
სწავლების ფორმა	დღის სწავლება
პროგრამის მოცულობა	180 კრედიტი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები, სრული ზოგადი განათლების ფლობა
სწავლების ენა	ქართული
სწავლების ფორმატი	ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო, საწარმოო პრაქტიკა, ინდივიდუალური მუშაობა
საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საბაზისო საუნივერსიტეტო განათლების მიღების და პროფესიული ცოდნის შექმნისათვის სავალდებულო საკითხების შესწავლა;</p> <p>-აგრონომიული მეცნიერების პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობა; სისტემური პრაქტიკული ცოდნის დაუფლება;</p> <p>-კერძო თუ სახელმწიფოს სახელმწიფო სამსახურში , პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება-განვითარება;</p> <p>-მისცეს სტუდენტს მრავალმხრივი ცოდნა სოფლის მეურნეობის დარგის სფეროში, გამოუმუშავოს მას დასმული საკითხის ანალიზის და მისი პრაქტიკული გადაწყვეტის უნარ-ჩვევები. ძირითადი დისციპლინები საშუალებას მისცემს სტუდენტს შეისწავლოს თანამედროვე სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოვლა მოყვანის ტექნოლოგიები. შეისწავლოს აგრეთვე აგრარული სფეროები, რაც ხელს შეუწყობს სპეციალისტის პროფესიული დონის ამაღლებას თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიების სფეროში.</p>
სწავლის შედეგები და კომპეტენციები	<p>საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება.</p> <p>- აქვს აგრარულ სფეროში თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა და ორიენტირების უნარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებაზე და აგრობიოლოგიური ზოოტექნიკა-ვეტერინარიის დარგის საკითხების გაცნობიერებაზე.</p> <p>შეუძლია: სასოფლო-სამეურნეო კულტურების ელიტური და სათესლე სარგავი მასალის შერჩვა და გამოყენება</p> <p>-სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესლბრუნვების შემოღება ზონების მიხედვით</p> <p>- ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლებისათვის ქიმიური მელიორანტების გამოყენება</p> <p>- მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების მეთოდების ათვისება</p> <p>- მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების შერჩევა და დოზების გაანგარიშება</p> <p>- სასოფლო - სამეურნეო მცენარეებისათვის მინერალური და ორგანული სასუქების შერჩევა და ნორმების გაანგარიშება, ნიადაგის</p>

	<p>ნაყოფიერების დონის მიხედვით</p> <ul style="list-style-type: none"> - სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ტექნოლოგიური რუქების შედგენა <p>ასევე შეეძლება:</p> <ul style="list-style-type: none"> - იდეებისა და აზრების წარმოთქმის გამოხატვის გაგების შესაძლებლობა, პრობლემის, ამოცანის გაცნობიერება მისი ანალიზი და პროფესიულ კონტექსტში გადაჭრის საშუალების გააზრება. - პრობლემის გადაჭრის მიზნით, ლიტერატურული წყაროების, ინტერნეტიდან ინფორმაციის მოპოვება და გაცნობიერება. - კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე (ზეპირი, ტესტირება, ლაბორატორიულ პრაქტიკული) და ერთ-ერთ უცხოურ ენაზე საკომუნიკაციო ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა
დასაქმების სფეროები	<p>დიპლომირებულ სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სახის ფერმერული მეურნეობებში, სასოფლო - სამეურნეო ან დარგობრივი წარმოებებში.</p>
აკადემიური რესურსი	<p>პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 2 სრული პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 3 უფროსი მასწავლებელი, 1 ლაბორანტი.</p>
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	<p>საგანმანათლებლო პროგრამას ანხორციელებს სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტი. ფაკულტეტი ფლობს სასწავლო - საცდელი ბაზას, აგროქიმია, ნიადაგმცოდნეობის და მექანიზაციის ლაბორატორიას.</p> <p>ფაკულტეტს ემსახურება შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ლაბორატორიები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; 2. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო უნივერსიტეტი; 3. ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი; 4. მცენარეთა იმუნიტეტის ინსტიტუტი; 5. ბათუმის ბოტანიკური ბაღი; 6. სასოფლო - სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლის სამეცნიერო ცენტრი; 7. ბიბლიოთეკა
საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა (იხ. სასწავლო გეგმა)	<p>პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 3 წელია. მოიცავს 180 კრედიტს. საიდანაც 140 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობას, არჩევითი დისციპლინებისათვის გათვალისწინებულია 40 კრედიტი.</p>
შეფასების სისტემა	<p>სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შესამოწმებლად გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმები: შუალედური და შემაჯამებელი ტესტი (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), ზეპირი პრეზენტაცია, ლაბორატორიული სამუშაოს ანგარიში, ტესტის/მონაცემების ანალიზი, სასწავლო - საველე და პროფესიული პრაქტიკის ანგარიში და დღიური, ლაბორატორიული მუშაობის დროს დაკვირვება.</p> <p>შეფასების ESTS საკრედიტო სისტემით დაშვებულია 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასება.</p> <ol style="list-style-type: none"> ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

	<p>არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
--	--